

შპს ტესო ტექ სოლუშენს

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2022 წ.

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5

შპს ტესო ტექ სოლუშენს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარში		31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021	1 იანვარი, 2021 წ.
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	422,729	600,499	318,665
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		50,800	57,784	52,569
მარაგები	10	1,676,040	489,889	325,642
გადახდილი ავანსები	9	277,666	527,403	110,730
საგადასახადო აქტივები, წმინდა		148,451	21,380	7,150
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,575,686	1,696,955	814,756
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	90,986	95,796	128,740
სულ გრძელვადიანი აქტივები		90,986	95,796	128,740
სულ აქტივები		2,666,672	1,792,751	943,496
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		590,729	1,900	28
მიღებული ავანსები		-	40,326	60,592
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
საიჯარო ვალდებულებები	7	27,223	28,897	28,375
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		617,952	71,123	88,995
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	7	27,595	62,844	97,043
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		27,595	62,844	97,043
სულ ვალდებულებები		645,547	133,967	186,038
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	1,553,905	1,213,905	513,905
გაუნაწილებელი მოგება		467,220	444,879	243,553
სულ საკუთარი კაპიტალი		2,021,125	1,658,784	757,458
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,666,672	1,792,751	943,496

ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 21 ნოემბერს:

ლევან კირვალიძე
გენერალური დირექტორი



ქეთევან მაისურაძე

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

შპს ტესო ტექ სოლუშენს

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარში		2022	2021
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	12	1,392,138	2,394,132
გაყიდვების თვითღირებულება		(1,180,887)	(1,977,257)
საერთო მოგება:		211,251	416,875
შრომითი დანახარჯები	14	(99,889)	(123,795)
მომსახურების ხარჯები	15	(22,605)	(26,024)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(32,123)	(15,365)
სხვა შემოსავალი		12,625	5,100
შემოსავლები ფინანსური შემოსავლის, ფინანსური დანახარჯის, მოგების გადასახადის ხარჯის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე		69,259	256,791
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(37,159)	(32,944)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		32,100	223,847
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური დანახარჯები	7	(9,759)	(22,521)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		22,341	201,326
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის (ზარალი)/მოგება		22,341	201,326
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი		22,341	201,326

შპს ტესო ტექ სოლუშენს
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ღარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	513,905	243,553	757,458
წლის წმინდა მოგება	-	201,326	201,326
წლის სრული შემოსავალი	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	700,000	-	700,000
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,213,905	444,879	1,658,784
წლის წმინდა მოგება	-	22,341	22,341
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	340,000	-	340,000
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,553,905	467,220	2,021,125

შპს ტესო ტექ სოლუშენს
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარში	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(512,686)	(397,922)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	340,000	700,000
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(172,686)	302,078
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(5,084)	(20,244)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	600,499	318,665
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	422,729	600,499

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ტესო ტექ სოლუშენსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2018 წლის 3 სექტემბერს და საქმიანობას საქართველოში ეწევა. 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის მშობელი საწარმო, 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, იყო სს „ოპკა“.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობაა სწრაფი გადახდის ტერმინალებითა და მათი შემადგენელი ნაწილებით ვაჭრობა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია: გივი კარტოზიას ქუჩა N 10 0160 თბილისი, საქართველო კომპანია შეიქმნა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 402099144.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (შემდგომში „ლარი“), თუკი სხვა რამე არ არის მითითებული.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოებს საქართველოში. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის ინფლაციის შედარებით მაღალი დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვანაირად შეიძლება იქნეს აღქმული, რაც კიდევ უფრო ურთულებს საქმეს საქართველოში მოქმედ კომპანიებს. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და ფულად-საკრედიტო ზომებზე, ისევე, როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

კოვიდ-19. 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კოვიდ-19-ის გავრცელება გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. პანდემიაზე რეაგირების მიზნით საქართველოს მთავრობამ შემოიღო მრავალი ზომა, რომლებიც მიზნად ისახავდა კოვიდ-19-ის გავრცელებისა და გავლენის შეკავებას. ამ ზომებს შორის იყო: მოგზაურობის აკრძალვა და შეზღუდვა, კარანტინი, სახლის პირობებში იზოლაციის დაწესება და ბიზნესსაქმიანობის აღკვეთა, კომპანიების დახურვის ჩათვლით. ზოგიერთი ზემოაღნიშნული ზომა მოგვიანებით შემსუბუქდა, თუმცა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2023 წელს ვირუსის შესაძლო ახალი შტამების საპასუხოდ საქართველოს მთავრობისგან დამატებითი შეზღუდვების დაწესების რისკი რჩება. ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალის მობილიზების შემდეგ რუსეთის ჯარებმა საზღვარი გადაკვეთეს. აგრესია და შეტევა, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებულია ომად, არის ყველაზე ფართომასშტაბიანი ტრადიციული სამხედრო თავდასხმა ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მან გამოიწვია ევროპის ყველაზე დიდი ლტოლვილთა კრიზისი ომის შემდეგ, რადგან მილიონობით უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და საკუთარი სახლი. უკრაინაში ომის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმცარესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს. ბევრი ბიზნესი რუსეთიდან და ბელარუსიდან გავიდა. სიტუაცია ჯერ კიდევ იცვლება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. კომპანიას პირდაპირი კავშირი არ აქვს უკრაინასთან, რუსეთთან და ბელარუსთან. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ყოველივე ამას არ ექნება საგრძნობი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. ვინაიდან ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, რთულია კომპანიაზე მისი სრული გავლენის სარწმუნოდ შეფასება, რადგან გაურკვეველია ეკონომიკაზე მისი გავლენის მასშტაბი. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება შექმნილ ვითარებაში ეკონომიკურ სიტუაციას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) სრულ შესაბამისობაში. ქვემოთ აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფასს-ის შესაბამისად ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას.

შეფასების საფუძველი. წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებისთვის შექმნილი რეზერვების გამოკლებით, სადაც საჭიროა.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან მისი აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ამ ერთეულიდან და თუ ერთეულის ღირებულების სარწმუნოდ განსაზღვრა შესაძლებელია. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.

საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, საჭიროების შემთხვევაში შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

აქტივის გასვლის შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება მიღებული შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და მათი აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში, სხვა საოპერაციო შემოსავლის ან ხარჯების მუხლში.

ცვეთა. დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს და მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების სხვა მუხლების ცვეთა გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნაარზენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

*სასარგებლო
მომსახურების ვადა
წლებში*

საოფისე აღჭურვილობა
სატრანსპორტო საშუალებები

5
5-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ბანკი ამჟამად მიიღებდა ამ აქტივის გაყიდვით, რასაც აკლდება სავარაუდო გასვლის დანახარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ სიძველისაა და იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

აქტივის გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს საოფისე და სასაწყობე ფართებს. ხელშეკრულებები შეიძლება შეიცავდეს როგორც საიჯარო, ისე არასაიჯარო კომპონენტებს. კომპანია სახელშეკრულებო ანაზღაურების თანხას საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებზე ანაწილებს მათი ფარდობითი ინდივიდუალური ფასების საფუძველზე.

იჯარიდან წარმოქმნილი აქტივების შეფასება თავდაპირველად ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე.

საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა,
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა, განხორციელებული იჯარის დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდებით,
- ყოველგვარი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები, და
- საიჯარო ხელშეკრულებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე აქტივის აღდგენის ხარჯი.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა, როგორც წესი, ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უფრო ხანმოკლე პერიოდზე. თუ კომპანიას გონივრულ ფარგლებში მოელის შესყიდვის ოფციონის აღსრულებას, აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა ხდება შესაბამისი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებზე. აქტივის გამოყენების უფლების მუხლების ცვეთა გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგი წესით:

შენიშვნა

სასარგებლო
მომსახურების ვადა
წლებში
5

ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება. სამართლიანი ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ყველა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯების მიხედვით. საწყისი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს გარიგების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. საწყისი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის აღიარება ხდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, რაც იწვევს მყისიერ სააღრიცხვო ზარალს.

ფინანსური აქტივები – აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადა სხვაგვარად გაუვიდა, ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო აქტივის გადაცემის ხელშეკრულება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. გადაცემულ აქტივზე კონტროლი ნარჩუნდება, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწმდება). კომპანიასა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული დღევანდელი ღირებულებისგან. გარდა ამისა, მხედველობაში მიიღება სხვა თვისებრივი ფაქტორები, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ინსტრუმენტი, საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილებები, ინსტრუმენტის კონვერტაციის ახალი პირობები და სესხის პირობების ცვლილება. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯის ან საკომისიოს აღიარება ხდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალურ ოპერაციას.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ბანკებში განთავსებულ მოთხოვნამდე ანაზრებს და სხვა მოკლევადიან მაღალიცვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი ვადა, მაქსიმუმ, სამი თვეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ვინაიდან: (i) მათი ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს, და (ii) ისინი არ არის კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს; სავაჭრო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. სესხები და მისაღები ანგარიშები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები, ხოლო შემდეგ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

საიჯარო ვალდებულებები. იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეფასება თავდაპირველად ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს იჯარის ფიქსირებული გადახდების წმინდა დღევანდელ ღირებულებას, რომელსაც აკლდება მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

იჯარის გაგრძელების და ვადაზე შეწყვეტის არჩევანის უფლებები ასახულია კომპანიის ყველა იჯარის ხელშეკრულებაში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გასაზრდელად კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით. იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (ან იჯარის ვადაზე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენების შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში აისახება მხოლოდ მაშინ, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ

შეწყდება). ვალდებულების შეფასებაში ასევე მონაწილეობს საიჯარო გადახდები, რომლებიც ხორციელდება იჯარის გონივრული დაშვებით გაგრძელების შემთხვევაში.

საიჯარო გადახდების დისკონტირება ხდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არ შეიძლება, როგორც ეს ხშირად ხდება კომპანიის იჯარების შემთხვევაში, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს განაკვეთს, რომელსაც კომპანია გადაიხდიდა აქტივის გამოყენების უფლების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის დასადგენად კომპანია იყენებს საქართველოს ბაზარზე არსებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს, რომლებიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

საიჯარო გადახდები ნაწილდება ძირითად თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ. მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების ყველა იჯარა წრფივ მეთოდით აღირიცხება ხარჯად მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის 12-თვიანი ან ნაკლები ვადის მქონე იჯარები.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა „აგროსილ“ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები „აიგროსება“ შემადგენელი 5%-იანი დაკავებული გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით „აგროსილ“ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან – აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, დაუყოვნებლივ დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული

საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება მუხლში „გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა“ საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო უწყებებისთვის გადახდა უნდა მოხდეს (ა) კლიენტებისგან არსებული მოთხოვნების ამოღებისას ან (ბ) საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახდელი დღგ-ს საფუძველზე, დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადასახდელი დღგ 5-10 წლით გადავადდება საწარმოებისათვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი. მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულის, პირდაპირ შრომით და სხვა პირდაპირ დანახარჯებს, შესაბამის საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე) და აქციზის გადასახადს, მაგრამ არ შეიცავს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეული საქმიანობის პროცესში, რომელსაც აკლდება დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგაა მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, საწყისი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არსებობს მინიშნება, რომ შესაძლოა ვერ იქნეს მიღებული გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი ან მომსახურება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მიმდინარე წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის გაცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის აქციონერის მიერ. კომპანიის განცხადებული კაპიტალის ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე. ყველა სხვა ფულადი ან ნატურალური ფორმით შენატანები კაპიტალში, რომლებიც განხორციელა კომპანიის აქციონერმა კომპანიის კაპიტალის გაზრდის მიზნით, მაგრამ არ ასახულა კომპანიის წესდებაში ბალანსის თარიღისთვის, აღიარებულია, როგორც განადგურებული საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები. დივიდენდები ტარდება, როგორც ვალდებულება და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია „შემდგომი მოვლენების“ თავში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამონაგების აღიარება ხდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების თანხა, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის კლიენტისთვის დაპირებულ საქონელზე კონტროლის გადაცემის ან მომსახურების გაწევის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარეების სახელით მიღებული თანხებისა.

ამონაგების აღიარება ხდება დისკონტების, პროდუქტის დაბრუნებების, დამატებული ღირებულების გადასახადის თანხების გამოკლებით.

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შესაბამეა ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის თუ მომსახურების სანაცვლოდ.

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი. ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები, რომელთა მთავარი მახასიათებლებია დაუზუსტებელი დრო და თანხის ოდენობა. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ არასახელშეკრულებო ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. რეზერვების შეფასება ხდება ვალდებულების დასაფარად გასაწევი მოსალოდნელი დანახარჯების დღევანდელი ღირებულებით, იმ დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია საპროცენტო დანახარჯების ნაწილში.

უცხოური ვალუტის გადაყვანა. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო საქმიანობს. კომპანიის სამუშაო ვალუტა და მისი წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი („ლარი“).

გარიგებები და ნაშთები. ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაყვანა ხდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის ბოლოსთვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ოპერაციების ანგარიშსწორებისა და, სება-ის წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაყვანისას საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში. საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც უკავშირდება ნასესხებ სახსრებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილია „ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯების“ მუხლში. ყველა სხვა საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „სხვა საოპერაციო ხარჯების“ მუხლში. წლის ბოლოსთვის არსებული კურსით გადაყვანა არ ეხება არაფულად მუხლებს, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კაპიტალის ინვესტიციების ჩათვლით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი არაფულად მუხლებზე, რომელიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აისახება სამართლიანი ღირებულების შემოსულობაში ან ზარალში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთავარი გაცვლითი კურსი, რომელიც დაადგინა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უცხოურ ვალუტაში ნაშთების კონვერტაციისთვის, იყო 1 აშშ დოლარი = 2.7020 ლარი და 1 ევრო = 2.8844 ლარი (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი = 3.0976 ლარი და 1 ევრო = 3.5040 ლარი). ამჟამად ქართული ლარი არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა უცხო ქვეყნების უმეტესობაში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები. ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი ირიცხება იმ წელს, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია საპენსიო ან მსგავსი გადახდების განხორციელების სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული ვითარების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

5. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

კომპანიას არ ქონდა 2022 და 2021 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები, შემოსავლისა და ხარჯის მუხლებში.

კომპანიას არ ქონდა მიმდინარე ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება:

ათას ლარში	2022		2021	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი სარგებელი:				
- ხელფასები	(15,000)	-	(15,000)	-
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	(15,000)	-	(15,000)	-

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა ასეთია:

ლარში	საოფისე აღჭურ- ვილობა	სატრანსპორტო საშუა-ლებები	აქტივის გამოყე- ნების უფლება*	სულ
თვითღირებულება				
1 იანვარი, 2021 წ.	13,339	-	137,694	151,033
შემოსვლები	-	-	-	-
გასვლები	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2021 წ.	13,339	-	137,694	151,033
შემოსვლები	2,753	29,596	-	32,349
გასვლები	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2022 წ.	16,092	29,596	137,694	183,382
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი, 2021 წ.	4,044	-	18,249	22,293
ცვეთის დანარიცხი	2,668	-	30,276	32,944
გასვლები	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2021 წ.	6,712	-	48,535	55,237
ცვეთის დანარიცხი	2,707	4,176	30,276	37,159
გასვლები	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2022 წ.	9,419	4,176	78,801	92,396
საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი, 2021 წ.	9,295	-	119,445	128,740
31 დეკემბერი, 2021 წ.	6,627	-	89,159	95,796
31 დეკემბერი, 2022 წ.	6,673	25,420	58,893	90,986

*კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებიც ფასს 16-ის მოქმედების არეალში ექცევა, შედგება მხოლოდ კომერციული სივრცეებისგან (შენობებისგან).

7. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას იჯარით აქვს აღებული შენობა. საიჯარო ხელშეკრულება, გაფორმებულია ფიქსირებული 5 წლის ვადით. აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია მე-6 შენიშვნაში ძირითადი საშუალებების თავში.

კომპანიამ შემდეგი საიჯარო ვალდებულებები აღიარა:

ლარში	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.	1 იანვარი, 2021 წ.
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	27,223	28,897	28,375
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	27,595	62,844	97,043
სულ საიჯარო ვალდებულებები	54,818	91,741	125,418

2022 წლის ფინანსური დანახარჯებში 5,758 ლარის საპროცენტო ხარჯი შევიდა (2021 წ.: 8,551 ლარი).

იჯარებზე მთლიანად გადინებული ფულადი სახსრები 38,129 ლარს შეადგენდა (2021 წ.: 42,837 ლარი).

საიჯარო ხელშეკრულებები არ აწესებს რამე პირობებს, საიჯარო აქტივზე მეიჯარის უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრების უფლების გარდა. საიჯარო აქტივების გამოყენება ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად არ შეიძლება.

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარში	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.	1 იანვარი, 2021 წ.
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში	422,729	600,499	316,940
ნაღდი ფული	-	-	1,725
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	422,729	600,499	318,665

9. გადახდილი ავანსები

ავანსების მოძრაობა ასე გამოიყურებოდა:

ლარში	მომსახურებაში გადახდილი ავანსები	სულ
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	110,730	110,730
შემოსვლები (ავანსის გადახდებისგან)	1,625,805	1,625,805
შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღებისას ჩამოწერილი ავანსები	(1,209,132)	(1,209,132)
მთლიანი ავანსები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	527,403	527,403
შემოსვლები (ავანსის გადახდებისგან)	1,746,078	1,746,078
შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღებისას ჩამოწერილი ავანსები	(1,995,815)	(1,995,815)
მთლიანი ავანსები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	277,666	277,666

10. მარაგები

ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სათადარიგო ნაწილები	1,676,040	489,889	325,642
მარაგები, სულ	1,676,040	489,889	325,642

სათადარიგო ნაწილები წარმოადგენს სწრაფი გადახდის ტერმინალების ნაწილებს რეალიზაციისთვის.

11. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ ნომინალურ ოდენობას

დივიდენდები. 2022 და 2021 წელს კომპანიას არ გამოუცხადებია და გადაუხდია დივიდენდები

12. ამონაგები

კომპანია ამონაგებს ერთი გეოგრაფიული მდებარეობიდან – საქართველოდან იღებს. ამონაგების აღიარება ხდება დროის გარკვეულ მონაკვეთში და ნაწილდება შემდეგ მთავარ პროდუქციის ხაზებზე.

ლარში	2022	2021
ამონაგები რეალიზაციიდან	1,351,281	2,348,336
სხვა გაწეული მომსახურება	40,857	45,795
სულ ამონაგები	1,392,138	2,394,132

კომპანიის ძირითად ამონაგებს წარმოადგენს ტერმინალის ნაწილების რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს.

13. შრომითი დანახარჯები

ლარში	2022	2021
ხელფასები	(98,138)	(121,586)
საპენსიო ხარჯი	(1,751)	(2,209)
სულ შრომითი დანახარჯები	(99,889)	(123,795)

14. მომსახურების ხარჯები

ლარში	2022	2021
აუდიტის ხარჯი	(20,672)	(25,642)
სხვა მომსახურების ხარჯები	(1,933)	(382)
სულ მომსახურების ხარჯები	(22,605)	(26,024)

15. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

სასამართლოში საქმის წარმოება. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანიის წინააღმდეგ შეიძლება სარჩელი აღიძრას. თავისი შეფასებებისა და შიდა თუ გარე პროფესიონალების რჩევის საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ განიცდის არსებით ზარალს სარჩელებიდან იმ თანხაზე მეტი ოდენობით, რაც დარეზერვებული აქვს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიძლება ხშირად სხვადასხვაგვარად იქნეს განმარტებული. გადასახადები მოწმდება რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების, საურავებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების უფლება.

საგადასახადო წლის შემოწმება საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში უფრო დიდი ხნის შემდეგაც.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მან ადეკვატურად ასახა საგადასახადო ვალდებულებები, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია მართებულია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა ზოგადად შეესაბამება საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებს, რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) მიერ 2010 წელს. ეს კანონმდებლობა დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრების საშუალებას იძლევა კონტროლირებულ ოპერაციებთან მიმართებაში (გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან და გარკვეული ტიპის ოპერაციები არადაკავშირებულ მხარეებთან), თუ ეს ოპერაციები არ ხდება გაშლილი ხელის პრინციპით. ხელმძღვანელობას დანერგილი აქვს შიდა კონტროლი, რათა აკმაყოფილებდეს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობის მოთხოვნებს.

კონტროლირებული ოპერაციებით განპირობებული საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება მათი ფაქტობრივი გარიგების ფასების მიხედვით. შესაძლებელია სატრანსფერო ფასების წესების ინტერპრეტაციებით მსგავსი სატრანსფერო ფასების ეჭვქვეშ დაყენება. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს სატრანსფერო ფასწარმოქმნის რისკი პერიოდის ბოლოსთვის (2021 წ.: არა) და აპირებს კომპანიის სატრანსფერო ფასწარმოქმნის პოზიციების შენარჩუნებას.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

კლიმატური ცვლილების გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობა ყურადღებით ეკიდება კლიმატური ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ გლობალური ცნობადობის ამაღლების საკითხს. ამჟამად ამ საკითხს არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, ხოლო კომპანიის საქმიანობაზე და ბიზნესგეგმებზე სამომავლო ეფექტების წინასწარ განსაზღვრა რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს ამ მხრივ მიმდინარე ცვლილებების მეთვალყურეობას და საჭიროებისამებრ მოახდენს რეაგირებას, რათა უზრუნველყოს კომპანიის სიცოცხლისუნარიანობა და დანერგავს მთავრობის ყველა სახელმძღვანელო მითითებას, თუ ისინი შეეხება იმ ბაზრებს, რომლებშიც კომპანია საქმიანობს.

16. სამართლიანი ღირებულებები

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას უახლოვდება, ამ ინსტრუმენტების უმეტესობის მოკლე დაფარვის ვადების გამო.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს ადგილი არ ქონია, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.